ირაკლი ოქრუაშვილის საქმე

სამართლებრივი ანალიზი

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

2020

შესავალი

ირაკლი ოქრუაშვილის სისხლისსამართლებრივი დევნა 2019 წლის 20 ივნისს, ე.წ გავრილოვის ღამეს განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება. ფართომასშტაბიანი აქცია რუსი დეპუტატის სერგეი გავრილოვის, საქართველოში ჩამოსვლას და, შემდეგ, ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან, მართლმადიდებლური საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომის რუსულ ენაზე წაყვანას მოჰყვა. 20 ივნისის აქციაზე მოვლენები სწრაფად და დრამატულად განვითარდა. პარლამენტთან მიმდინარე აქცია, ხელისუფლების არაკეთილგონიერებამ, ადეკვატური რეაგირება მოეხდინა კრიზისზე, უკიდურესად გაამწვავა. სამოქალაქო საზოგადოების განცხადებით, აქციის მონაწილეების ნაწილის მხრიდან პარლამენტში ძალით შესვლის მცდელობამ და პოლიციასთან ძალისმიერმა დაპირისპირებამ სამართალდამცავებს მანიფესტაციის უფლებაში მართლზომიერი ჩარევის საფუძველი გაუჩინა. თუმცა, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელისუფლების რეაგირება კანონსაწინააღმდეგოდ შეაფასეს. უფრო მეტიც, 30-მდე ორგანიზაციის განცხადებით, რიგ შემთხვევაში რეზინის ტყვიები გამოიყენებოდა სახის და თავის არეში დამიზნებით, მცირე დისტანციიდან, რაც ტოვებდა განცდას, რომ მსგავსი ქმედების მიზანი დემონსტრატების დასახიჩრება და არა აქციის დაშლა იყო.[1]

ირაკლი ოქრუაშვილი 2019 წლის 25 ივლისს დააკავეს. პროკურატურა მას, 20 ივნისის მოვლენებისას ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას (სსკ 225-ე მუხლის პირველი ნაწილი) და მასში მონაწილეობას (სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ედავებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადების თანახმად, ირაკლი ოქრუაშვილი თანმხლებ პირებთან ერთად მოუწოდებდა აქციის მონაწილეებს და თავადაც ცდილობდა პარლამენტის შენობაში ძალადობრივ შეჭრას, ასევე - იგი მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ჯგუფურ ძალადობრივ მოქმედებებში.[2] ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ბრალდება წარედგინა აქციის მონაწილე კიდევ 18 პირს.[3] ირაკლი ოქრუაშვილს 27 ივლისს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

2020 წლის 13 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე: ლავრენტი მაღლაკელიძე) ირაკლი ოქრუაშვილი ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობის (სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილი) ბრალდებაში გაამართლა, ხოლო - მჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის (ამავე მუხლის მე-2 ნაწილი) ბრალდებაში დამნაშავედ სცნო დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

---

[1] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება 20 ივნისს განვითარებულ მოვლენებზე, ხელმისაწვდომია: https://gdi.ge/ge/news/20-ivnisis-movlenebtan-dakavshirebit.page, უკანასკნელად შემოწმდა 10.05.2020.

[2] http://www.tabula.ge/ge/story/153191-irakli-oqruashvili-ets-matrosovis-cixeshi-gadaikvanes

[3] *იქვე*

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის ანალიზი

საქართველოს სსკ 225-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ჯგუფური მოქმედების ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.“ აღნიშნული დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში მდებარეობს, შესაბამისად, მისი დაცვის მთავარი ობიექტი საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროებაა. 2011 წლამდე მასში „ჯგუფური მოქმედების“ ნაცვლად მითითებული იყო - ტერმინი „მასობრივი არეულობის“.[4] შესაბამისად, კანონმდებელმა გააფართოვა ამ ნორმის ფარგლები და თუკი ცვლილებამდე ამ დანაშაულის ჩადენა მხოლოდ ადამიანთა ფართო მასებს შეეძლო, ახლა ორგანიზატორის ჩათვლით სამი პირის მონაწილეობა უკვე საკმარისია მის ჩასადენად.[5] 225-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოთვლის ალტერნატიულ ქმედებებს, რომელთაგან ერთ-ერთს მაინც უნდა ჰქონდეს ადგილი ჯგუფური მოქმედებისას, რათა სახეზე იყოს ამ ნორმის შემადგენლობა. მათ შორისაა ძალადობაც. შესაბამისად, ჩამოთვლილი ქმედებებიდან ერთ-ერთის, მათ შორის ძალადობის, განხორციელების გარეშე პირის მიერ ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისას დანაშაული ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ორგანიზება შეიძლება გამოიხატოს არეულობის ადგილის შერჩევაში, პირთა ჯგუფის თავმოყრაში და სხვა. ხელმძღვანელობა კი შეიძლება გამოიხატოს არეულობის დროს ჯგუფისთვის მითითებების მიცემაში, თუ როგორ იმოქმედონ, მოწოდებაში, რომ არ შეწყვიტონ ძალადობა და სხვა.[6]

რაც შეეხება სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილს. ამ ნორმის თანახმად: „ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში მონაწილეობა - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.“ აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ჯგუფურ მოქმედებაში[7] მონაწილეობისთვის, რომელსაც თან ახლავს პირველი ნაწილით გათვალისწინებული ალტერნატიული ქმედებებიდან ერთი მაინც. მათ შორისაა ძალადობაც, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ცემაში, სხვისთვის ჯანმრთელობის მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაში და სხვა.[8] თუმცა ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ძალადობას შეიძლება ფიზიკური ტკივილიც არ მოჰყვეს.[9] სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით პირის ქმედების კვალიფიკაციისას რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოებაა მხედველობაში მისაღები:

- ჯგუფური მოქმედება, რომელში მონაწილეობისთვისაც 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, აუცილებლად უნდა იყოს ორგანიზებული. ამას არ გამორიცხავს ის, რომ ნორმის პირველ ნაწილში ორგანიზება და ხელმძღვანელობა „ან“ კავშირითაა დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ შეიძლება ორგანიზატორი იყოს სხვა პირი, ხოლო ხელმძღვანელი - სხვა და რომ არა „ან“ კავშირი ეს პირები პირველი ნაწილის მოქმედების ფარგლებში ვერ მოექცეოდნენ. ამრიგად, მართალია შესაძლოა

---

[4] 2011 წლის 1 ივლისის საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

[5] ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 599.

[6] *იქვე*

[7] ლიტერატურაში (იხ. მითითება №5) „ჯგუფური მოქმედება“ მოხსენიებულია როგორც „ჯგუფური ძალადობა“. ასევე იხსენიებს მას საქართველოს უზენაესი სასამართლოც (იხ. მითითება №10).

[8] იხ. მითითება №5.

[9] *იქვე.*

ვერ იქნეს ჯგუფის ორგანიზატორი იდენტიფიცირებული თუმცა აუცილებელია, რომ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით ქმედების კვალიფიკაციისას, დამტკიცდეს, რომ ჯგუფური მოქმედება, რომელში მონაწილეობასაც პირს ედავება სახელმწიფო, იყო ორგანიზებული. მაგალითისთვის, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის ერთ-ერთ განაჩენში (საქმე ეხება 2017 წლის მარტში, ბათუმში განვითარებულ ძალადობრივ მოვლენებს) ბრალდების შესახებ დადგენილებაში ასახული მოვლენები მიიჩნია ჯგუფურ ძალადობად, ხოლო, თავის მხრივ, დადგენილება უთითებდა: „პროტესტის მიზნით, ამჟამად გამოძიებით დაუდგენელმა პირმა, ან პირთა ჯგუფმა მოახდინა ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, რა დროსაც მონაწილეებმა გადაკეტეს ჭ-ის ქუჩა და საავტომობილო გზის გახსნის შესახებ პოლიციის მუშაკების კანონიერ მოთხოვნებს არ ემორჩილებოდნენ."[10]

- აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში მონაწილეობისთვის. მასში კი იგულისხმება თანაამსრულებლობა. საქართველოს სსკ 22-ე მუხლის თანახმად: „ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, [...]". შესაბამისად, პირმა სსკ 225-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული ალტერნატიული ქმედებებიდან ერთ-ერთი მაინც უნდა განახორციელოს, მიიღოს აუცილებელი ობიექტური ნიშნების განხორციელებაში უშუალო მონაწილეობა. ეს ქმედებებია: „ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა". თუკი ის არცერთ ამ ქმედებას უშუალოდ არ ახორციელებს, მაშინ ის ვერ მიიჩნევა ამსრულებლად და არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით. **მაგალითისთვის, 2018 წლის ზემოთ ნახსენებ განაჩენში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო იმ პირის მონაწილეობა ჯგუფურ ძალადობრივ ქმედებებში, რომელიც იდგა აქციის მონაწილეებთან ერთად, ასევე, ერთ-ერთ ეპიზოდში წრეს აკეთებდა მანქანით, აძლევდა ხმოვან სიგნალს, აგინებდა პოლიციელებს, ყვიროდა და უსტვენდა.** [11]
- ეს დანაშაული, ცხადია, მხოლოდ განზრახ შეიძლება იქნეს ჩადენილი. პირი, რომელიც, როგორც თანაამსრულებელი, ახორციელებს 225-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებათაგან ყველას ან რომელიმეს, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდეს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. თუკი პირს სახელმწიფო ედავება 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, გარდა იმისა, რომ, მაგალითისთვის, უნდა დადასტურდეს ამ პირის მიერ ძალადობრივი ქმედების განხორციელება, უნდა დადასტურდეს ისიც, რომ ეს პირი განზრახ მოქმედებდა.

2. ირაკლი ოქრუაშვილის საქმის გარემოებები

2.1. სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოს სსკ 225-ე მუხლის პირველ ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა

[10] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ნოემბრის განაჩენი საქმეზე №2კ-288ა.პ.-18.

[11] *იქვე*

2.1.1. ბრალდების ვერსია

ბრალდების მხარე ორ ეპიზოდში ცდილობდა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობის დამტკიცებას.

ერთი ეპიზოდი ეხებოდა პარლამენტის გვერდითა შესასვლელთან, ჭიჭინაძის ქუჩაზე, ირაკლი ოქრუაშვილის მისვლას პოლიციელებთან. ბრალდების მხარის ორი მოწმე, ორივე პოლიციელი, აცხადებდა, რომ ისინი პარლამენტის გვერდითა შესასვლელს იცავდნენ, როცა მათთან ირაკლი ოქრუაშვილი დაახლოებით 30 პირთან ერთად მივიდა და პარლამენტში შესვლა ითხოვა, ხოლო უარის შემდეგ მან თანმხლებ პირებს მოუწოდა ძალის გამოყენებით გაერღვიათ პოლიციელთა კორდონი და შესულიყვნენ პარლამენტის შენობაში. აღნიშნული მოწმეები აცხადებდნენ, რომ ირაკლი ოქრუაშვილის თანხმლები პირები მის მითითებებს ასრულებდნენ და რომ ირაკლი ოქრუაშვილმა მათთან ერთად დაიწყო პოლიციელებზე მიწოლა თუმცა პოლიციელებმა შეძლეს „ცოცხალი ჯაჭვის“ შენარჩუნება. სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ამ ეპიზოდში სახეზე იყო ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობა შემდეგ მიზეზთა გამო:

- ვერ იქნა დადასტურებული ირაკლი ოქრუაშვილის თანმხლები პირების ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა, რაც თავისთავად გამორიცხავდა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას.
- თავად ამ ორი პოლიციელი მოწმის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია უტყუარად ვერ იქნა დადასტურებული, რადგან დაცვის მხარემ წარადგინა 6 მოწმე (მათგან ერთი ჭიჭინაძის ქუჩაზე იმყოფებოდა ირაკლი ოქრუაშვილის ის მისვლისას, ხოლო 5 - თან ახლდა ირაკლი ოქრუაშვილს), რომლებმაც განაცხადეს, რომ ირაკლი ოქრუაშვილის მიერ იქ რაიმე ძალადობას ან ძალადობის მოწოდებას ადგილი არ ჰქონია.
- ბრალდების მხარეს, გარდა ორი პოლიციელი მოწმისა, სასამართლოში არ წარმოუდგენია სხვა ნეიტრალური მტკიცებულება, როგორიცაა ვიდეოკამერის ჩანაწერი.

რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, ერთი პოლიციელი მოწმე აცხადებდა, რომ მაშინ, როცა აქციის მონაწილეები ცდილობდნენ პარლამენტის ეზოში შეჭრას, მან იქვე შენიშნა ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც ხალხის მასასთან ერთად იძახდა „წინ, წინ“ და მიიწევდა პარლამენტის შენობისკენ. სასამართლომ, სავსებით სწორად, მიიჩნია, რომ ცალკე აღებული ეს სიტყვები, მათი კონტექსტისა და მიმართვის ადრესატთა დადგენის გარეშე, ჯგუფური ძალადობრივი მოქმედებების ხელმძღვანელობად ვერ ჩაითვლებოდა და გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ სხვა მოწმეები არ ადასტურებდნენ ირაკლი ოქრუაშვილის მიერ მსგავსი მოწოდების ფაქტს.

2.1.2. სასამართლოს მიერ განაჩენის გამამართლებელ ნაწილში მოხმობილი სტანდარტი

სასამართლოს მიერ განაჩენის გამამართლეელ ნაწილში მოხმობილი შეფასებები და სტანდარტები შესაბამისობაშია როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან, ასევე - ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და სასამართლო პრაქტიკასთან (მოსამართლემ, სავსებით სწორად, თავადვე მოიხმო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Ochelkov v. Russia). საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „[..] გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას,

რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.“ ორი პოლიციელის ჩვენება, ისე, რომ მათ არ ამყარებს სხვა მტკიცებულება, ცალსახად ვერ აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს. მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი ვერ იქნებოდა დაკმაყოფილებული გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი, დაცვის მხარის 6 მოწმეს საპირისპირო ჩვენება რომ არ მიეცა და საქმეში მხოლოდ ორი პოლიციელის ჩვენება ყოფილიყო წარმოდგენილი. სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება შესაბამისობაშია საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალურ კოდექსთანაც, რადგან სსკ 225-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობა არ არსებობს, კერძოდ, პირი, ცხადია, ვერ ჩაითვლება ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელად, თუკი ამ ჯგუფის წევრები არ მონაწილეობენ ჯგუფურ ძალადობაში.

2.2. სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში

სასამართლოს არგუმენტაციაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა იკვეთება, რომელთაც პირდაპირი გავლენა აქვთ განსახილველი საქმის გადაწყვეტაზე.

2.2.1. ორგანიზებული ჯგუფური მოქმედება

როგორც საქართველოს სსკ 225-ე მუხლის ანალიზისას აღინიშნა, ჯგუფური მოქმედება, რომელში მონაწილეობისთვისაც 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, აუცილებლად უნდა იყოს ორგანიზებული. სასამართლოს გადაწყვეტილებაში არც კი უხსენებია, იყო თუ არა ორგანიზებული ის ჯგუფური მოქმედება, რომელში მონაწილეობასაც პროკურატურა ირაკლი ოქრუაშვილს ედავებოდა და რაში გამოიხატა მისი ორგანიზებულობა. შესაბამისად, მას ერთ-ერთი აუცილებელი ობიექტური ნიშანი, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილის მიერ სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობის დადასტურებისთვის იყო საჭირო, ყურადღების მიღმა დატოვა.

სასამართლოს არც ის დაუსაბუთებია, თუ რატომ უნდა მიჩნეულიყო ირაკლი ოქრუაშვილი ამ ჯგუფის წევრად და რატომ არ უნდა განხილულიყო მისი ქმედება როგორც საპროტესტო აქციაში მონაწილე ცალკეული ინდივიდის მიერ განხორციელებული ქმედება, განცალკევებით ჯგუფისა, თუკი, რა თქმა უნდა, ასეთი ჯგუფი საერთოდაც ფორმირდა. აღნიშნული საჭიროა, რამდენადაც ირაკლი ოქრუაშვილის პასუხისმგებლობა სხვა პირთა ქმედებებით შედეგის გამო მნიშვნელოვნად დამძიმდა, პირდაპირ აისახა ის ქმედების კვალიფიკაციაზე. სასამართლო თავადვე უსვამს არაერთხელ ხაზს იმ ფიზიკურ თუ მატერიალურ ზიანს, რომელიც აქციის მონაწილე სხვა პირთა ქმედებებს მოჰყვა.

2.2.2. ირაკლი ოქრუაშვილის ქმედებების „ძალადობად“ კვალიფიკაცია

სასამართლომ მიიჩნია, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ძალადობრივი ქმედებები გამოიხატა პოლიციის კორდონის მიწოლაში, ასევე - ერთ-ერთი პოლიციელისთვის ხელზე მოქაჩვასა და გამოწევის შედეგად მისი წინააღმდეგობის დაძლევაში. სასამართლომ სსკ 225-ე მუხლის განმარტებისას აღნიშნა, რომ ამ მუხლში ნახსენებ „ძალადობას“ შეიძლება არ მოჰყვეს ფიზიკური ტკივილიც კი. საქმე ისაა, რომ მოსამართლემ განაჩენში სიტყვასიტყვით გაიმეორა ლიტერატურაში არსებული მოსაზრება, რომ სსკ 225-ე მუხლში ნახსენებ „ძალადობას“ შეიძლება არ მოჰყვეს ფიზიკური ტკივილიც კი. აღსანიშნავია ისიც, რომ განაჩენის ამ ნაწილში, როდესაც მოსამართლე სსკ 225-ე მუხლთან დაკავშირებით აკეთებს ზოგად განმარტებებს, იგი ზედმიწევნით იმეორებს და ხშირ შემთხვევაში მოჰყავს იდენტური განმარტებები, რომლებიც გაკეთებულია იმ სახელმძღვანელოში, სადაც

ზემოთქმული მოსაზრებაა გამოხატული. მოსამართლის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის განაჩენში გამოყენება თავისთავად პრობლემას არ წარმოადგენს. საქმე ეხება საკითხების ბრალდებულის საუარესოდ განმარტების შემთხვევას. მაშინ, როდესაც სამეცნიერო საზოგადოებაში ერთიანი პოზიცია არ არსებობს ამა თუ იმ საკითხზე, მოსამართლის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენება ბრალდებულის საუარესოდ და არა, ნორმის მისეული ისეთი შეფასებები, რასაც შესაძლოა ბრალდებულისთვის პოზიტიურად შეეცვალა საქმის გადაწყვეტა, ვფიქრობთ პრობლემური საკითხია.

სასამართლოს მიერ სსკ 225-ე მუხლის პირველ ნაწილში ნახსენები „ძალადობის“ ამგვარი განმარტება, პრობლემურია, რადგან ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ბრალდების ვერსიით განხორციელებული ქმედების არსებობისასაც კი - პოლიციელისთვის ხელის მოქაჩვა - მას აქვს ძალიან დაბალი ინტენსივობა. სასამარტლოსეული განმარტებით თითქმის ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ძალადობად, რაც ფუნდამენტურად არასწორია და ეწინააღმდეგება სისხლის სამართალში მოქმედ ზოგად პრინციპებს. კერძოდ, სსკ 225-ე მუხლის ასეთი განმარტება არასწორია შემდეგ მიზეზთა გამო:

- ცალკე აღებული ხელის მოქაჩვა და გამოწევა არ წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას. კერძოდ, სსკ 126-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, - ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ოთხმოც საათამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ“. ამრიგად, თუკი პირზე ფიზიკურ ზემოქმედებას ამ პირის ფიზიკური ტკივილი არ მოჰყვა, ზემმოქმედებლის ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება სსკ 126-ე მუხლით. მეტიც, ასეთად რომც დაკვალიფიცირდეს, მისი ჩადენისთვის ალტერნატიული სანქციებია გათვალისწინებული, რომელთაგან ყველაზე მძიმე 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა, ხოლო ამავე ქმედების ჯგუფურად განხორციელების შემთხვევაში - ასევე რამდენიმე ალტერნატიულ სანქციასთან ერთად ყველაზე მძიმე სანქციას 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს.
  თავისთავად ის, რომ სსკ 225-ე მუხლის ფარგლებში ძალადობას მასობრივი არეულობის დროს აქვს ადგილი ჯგუფის მიერ, ვერ ხსნის იმას, თუ რატომ უნდა განიმარტოს ამ მუხლში „ძალადობა“ იმაზე ნაკლები ინტენსივობის ფიზიკურ ზემოქმედებად, ვიდრე - სსკ 126-ე მუხლი აცხადებს დასჯადად ჩვეულებრივ პირობებში. მეტიც, სსკ 225-ე მუხლში ნახსენები „ძალადობა“ უფრო მეტი ინტენსივობის ფიზიკურ ზემოქმედებადაც კი შეიძლება განიმარტოს ქვემოთ წარმოდგენილი მიზეზის გამო.
- სსკ 225-ე მუხლი ეხება მასობრივ არეულობას, ხოლო მასობრივ არეულობაში ხშირია ადამიანებს შორის, მით უმეტეს პროტესტანტებსა და პოლიციელებს შორის ისეთი ფიზიკური ურთიერთქმედება, როგორიცაა მიწოლა, გაწევ-გამოწევა, ხელის კვრა, თუნდაც ხელის მოქაჩვა. შესაბამისად, სსკ 225-ე მუხლის მიზნებისთვის „ძალადობა“ უფრო მეტი ინტენსივობის ფიზიკურ ზემოქმედებად შეიძლება განიმარტოს, ვიდრე - სხვა ჩვეულებრივ პირობებში, როგორც ამას სსკ 126-ე მუხლი განმარტავს, სადაც აღნიშნულია, რომ დასჯადია იმგვარი ზემოქმედება, რომელიც ფიზიკურ ტკივილს იწვევს. მასში აღნიშნულზე ნაკლები ინტენსივობის ფიზიკური ზემოქმედების განმარტება კი, როგორც ეს ირაკლი ოქრუაშვილთან მიმართებით გააკეთა სასამართლომ, გარდა იმისა, რომ ზემოგანხილული თვალსაზრისით

უსამართლო შედეგს იწვევს, პრაქტიკულ სირთულესაც აჩენს, რადგან გამოდის, რომ მასობრივი არეულობის პირობებში, როდესაც უამრავი ადამიანი ახორციელებს იმგვარი ინტენსივობის ფიზიკურ ზემოქმედებას პოლიციელების მიმართ, რის ჩადენასაც ირაკლი ოქრუაშვილს ბრალდება ედავება, თითოეული მათგანის მიმართ სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. ასეთი განმარტება სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილს მხოლოდ პოლიტიკური რეპრესიის იარაღად აქცევს და არაფერი აკავშირებს ამ ნორმის მიზანთან. თუკი ამგვარი შეკრების მონაწილე პირების აბსოლუტური უმრავლესობა, ზემოაღნიშნული განმარტების პირობებში, მოექცევა სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილის სფეროში, ხელისუფლებას რჩება რესურსი, მათგან გამოარჩიოს არასასურველი პირები და მხოლოდ ისინი დასაჯოს, რისი ნიშნებიც ირაკლი ოქრუაშვილის წინამდებარე საქმის პირობებში ასკარად არსებობს.

- საქართველოს სსკ 225-ე მუხლში ნახსენები „ძალადობის“ სასამართლოსეულ განმარტების არამართებულობას ამ ქმედების ჩადენისთვის გათვალისწინებული სანქციაც უსვამს ხაზს. არ არის გათვალისწინებული ალტერნატიული სანქციები, არამედ - ნორმა მხოლოდ 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამ განმარტების პირობებში კი გამოდის, რომ უმოქმედობასა და მინიმალურ ფიზიკურ ზემოქმედებას შორის გადის ზღვარი, პირი საერთოდ არ მიეცემა პასუხისგებაში თუ დაისჯება მინიმუმ 4 წლით თავისუფლების აღკვეთით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „ამა თუ იმ ქმედებისთვის დაკისრებული სასჯელი გონივრულ და პროპორციულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს კონკრეტული დანაშაულით გამოწვევად ზიანთან, რომელიც ადგება/შეიძლება მიადგეს პირებს/საზოგადოებას.“[12] ხელის მოქაჩვის „ძალადობად“ განმარტება და სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებულად მიჩნევა, სწორედ ამ ნორმით დასჯად ქმედებასა და მისთვის დაკისრებულ სანქციას შორის იწვევს აშკარად არაპროპორციულობას. ხოლო, რადგანაც ცალსახად იძლევა სსკ 225-ე მუხლი მის იმგვარად წაკითხვის შესაძლებლობას, რომ „ძადალობაში“ ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება არ იქნეს მოქცეული, არამედ - მინიმუმ იგვარი ზემოქმედება, რომელიც ფიზიკურ ტკივილს იწვევს, როგორსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს, მაგალითად, მუშტის ან თუნდაც ხელკეტის დარტყმისას. მოსამართლეს სწორედ ასეთი განმარტება უნდა გაეკეთებინა განსახილველ საქმეში და არ უნდა მიეჩნია, რომ პოლიციელებზე მხოლოდ მიწოლა და ხელის მოქაჩვა წარმოადგენდა ძალადობრივ ქმედებებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მიზნებისთვის.

რა შედეგს გამოიწვევდა სსკ 225-ე მუხლის იმგვარი განმარტება, როგორზეც ზემოთ ვისაუბრეთ - რაც სწორად მიგვაჩნია განსხვავებით მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძის მიერ გაკეთებული განმარტებისა? პირმა სსკ 225-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული ალტერნატიული ქმედებებიდან ერთ-ერთი მაინც უნდა განახორციელოს, მიიღოს მათი ობიექტური ნიშნების განხორციელებაში უშუალო მონაწილეობა, რათა ამ მუხლის მე-2 ნაწილით დაეკისროს პასუხისმგებლობა. ეს ქმედებებია: „ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა“. ბრალდების მხარის მიერ

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის №1/9/701,722,725 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ამ ქმედებებიდან არცერთის განხორციელების საკითხი არ იდგა, გარდა ძალადობისა. შესაბამისად, თუკი ძალადობას მოსამართლე სწორად განმარტავდა, სისხლის სამართალში მოქმედი პრინციპებისა და კონსტიტუციის შესაბამისად, მისი ქმედება არც „ძალადობად“ დაკვალიფიცირდებოდა ამ მუხლის მიზნებისთვის და მას პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრებოდა ვერც სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით. რაზეც უზენაესი სასამართლოს ზემოთ განხილული განაჩენიც მეტყველებს.[13] წინამდებარე საქმეში სასამართლოს არ დაუდგენია პოლიციელების მიმართ ძალადობას ჰქონდა თუ არა ორგანიზებული სახე.

2.2.3. მტკიცებულებები

სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დააყრდნო 4 მოწმის ჩვენებას. ოთხივე მათგანი არის პოლიციელი. თუმცა, განსხვავებით ხელმძღვანელობის ეპიზოდისა, ამ შემთხვევაში ბრალდების მხარეს წარმოდგენილი ჰქონდა ასევე ტელეკომპანიებიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერები. ვიდეოჩანაწერების შინაარსთან დაკავშირებით არსებობს მნიშვნელოვანი კითხვები, თუმცა იმას, რომ ვიდეოჩანაწერებში დაფიქსირებული პიროვნება ირაკლი ოქრუაშვილი იყო, ადასტურებდა ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები.

იქამდე სანამ ამ მტკიცებულებების შინაარსს შევაფასებთ, პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: შეიძლებოდა თუ არა გამამტყუნებელი განაჩენის დამყარება 4 პოლიციელის ჩვენებასა და ვიდეოჩანაწერებზე (ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად)? საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად აღნიშნული თავისთავად არ გამორიცხავს გამამტყუნებელი განაჩენისთვის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაკმაყოფილებას. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითა: „ცალსახად თქმა იმისა, რომ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე პოლიციელთა ჩვენებებს იმთავითვე მცირე (ან მეტი) მნიშვნელობა აქვს, არ არის მართებული ... პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა და უტყუარობა უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე და მისთვის წინასწარ მტკიცებულებითი წონის მინიჭება გაუმართლებელია.“[14] სასამართლომ ამ საქმეზე მიიჩნია, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი პოლიციელების ჩვენების გარდა განმტკიცებული იყო სხვა მტკიცებულებებითაც, მათ შორის - დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და ავტომანქანის ჩხრეკის ოქმით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კი საქმეში Ochelkov v. Russia, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, განსახილველ განაჩენშიც იყო მოსამართლის მიერ მოხმობილი, სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციელთა ჩვენებებს მცირე ღირებულება ჰქონდა, რადგან ისინი არ იყო გამყარებული სხვა მტკიცებულებით.[15] ამრიგად, სასამართლომ პოლიციელთა ჩვენებებს მცირე ღირებულება არა აპრიორი ყველა შემთხვევაში მიანიჭა, არამედ - ის დაუკავშირა იმას, რომ მათ სხვა მტკიცებულებები არ ამყარებდნენ. აღსანიშნავია, რომ ევროსასამართლოს ამ გადაწყვეტილებას ასევე განმარტავს თავის არაერთ განჩინებასა თუ განაჩენში საქართველოს უზენაესი სასამართლო.

---

[13] იხ. მითითება №10.

[14] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2კ-328აპ.-18.

[15] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე OCHELKOV v. RUSSIA, პარ. 90.

რაც შეეხება მტკიცებულებების შინაარსს, დაცვის მხარე უთითებდა იმაზე, რომ ორი პოლიციელი მოწმის ჩვენება იყო იდენტური, რაც ადასტურებდა იმას, რომ მათ ხელი გამზადებულ ჩვენებებზე მოაწერეს. სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის აღნიშნული პოზიცია, რაც დაასაბუთა იმით, რომ ამ მოწმეებმა ჩვენება მხარეთა მონაწილეობით, შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების პირობებში მისცეს, რაც ასევე ვიდეოჩანაწერებით დადასტურდა და რომ „დაცვის მხარის მიერ მხოლოდ მითითებული საფუძვლით მოწმეების ჩვენებების დისკრედიტაციის მცდელობა ვერ დაუკარგავს მათ დამაჯერებლობასა და სარწმუნოებას". მოსამართლემ სინამდვილეში ვერ ახსნა, რატომ არ იყო ამ მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებები იდენტური და თუკი ისინი იდენტური იყო, რატომ არ ქმნიდა ეს გონივრულ ეჭვს მათს სანდოობაში. ის, რომ სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში შეჯიბრებითობის პრინციპით მიმდინარეობს, არ ათავისუფლებს სასამართლოს ვალდებულებისგან, დაასაბუთოს, რატომ არის მტკიცებულება უტყუარი და რატომ არ ქმნის ის გონივრულ ეჭვს ობიექტურ მესამე პირში, რადგან გადაწყვეტილებას განაჩენის კონკრეტულ მტკიცებულებაზე დამყარების თაობაზე სწორედ მოსამართლე იღებს. როგორც მოწმეთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებმა შეიძლება გააჩინოს გონივრული ეჭვი მათს სანდოობაში, ისევე შეიძლება ერთმანეთის იდენტურმა ჩვენებებმა გაუჩინოს ობიექტურ მესამე პირს გონივრული ეჭვი იმის თაობაზე, რომ მოწმეები ერთმანეთში წინასწარ შეთანხმდნენ, მათ გამზადებულ ჩვენებაზე მოაწერეს ხელი და სხვა.

მთავარი მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო, როცა დადგენილად მიიჩნია ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ერთ-ერთი პოლიციელის ხელის მოქაჩვისა და გამოწევის შედეგად მისი წინააღმდეგობის დაძლევა, რაც მან ძალადობრივ ქმედებად მიიჩნია, არის ვიდეოჩანაწერი. ვიდეოჩანაწერში კი არ ჩანს საკმარისად ნათლად ირაკლი ოქრუაშვილი მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება, რათა ეს უკანასკნელი უტყუარად იქნეს მიჩნეული. იმ მომენტში, როდესაც პროკურატურის და სასამართლოს აზრით ირაკლი ოქრუაშვილი ხელით ექაჩება პოლიციელს, გამოწევს მას და დაძლევს მის წინააღმდეგობას, მათ რამდენიმე ადამიანი ეფარება, რაც ართულებს იმის ცხადად გარჩევას, თუ ზუსტად რა მოქმედება განახორციელა ირაკლი ოქრუაშვილმა. აღსანიშნავია ისიც, რომ თუკი პროკურატურის მთავარ არგუმენტს ირაკლი ოქრუაშვილის განზრახ მოქმედებასთან დაკავშირებით წარმოადგენდა ის, რომ იგი თავისი ნებით და არა ხალხის ტალღის გავლენით მიიწევდა საქართველოს პარლამენტის მიმართულებით, ამ ეპიზოდში, როცა საუბარია მის მიერ პოლიციელისთვის ხელის მოქაჩვაზე, ვიდეოჩანაწერზე ჩანს, თუ როგორ აწვება ირაკლი ოქრუაშვილს არაერთი ადამიანი და მისი მოქმედების ტრაექტორიას მასის მოძრაობის ტრაექტორია განსაზღვრავს. შესაბამისად, ცალსახად, შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ქმედების შესახებ არსებობს მხოლოდ ეჭვი და ის არ არის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებული, ხოლო ეჭვი, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

2.2.4. განზრახვა

სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება იქნეს ჩადენილი. შესაბამისად, პირს, რომელიც ახორციელებს სსკ 225-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებებიდან ყველას ან რომელიმეს, ის პირდაპირი განზრახვით უნდა მოქმედებდეს. სწორედაც იმ ეპიზოდში, როდესაც არ ჩანს თვალნათლივ ირაკლი ოქრუაშვილის მიერ პოლიციელის ხელის მოქაჩვა და გამოწევა და როდესაც მის უკან რამდენიმე ადამიანი იმყოფება, რომელიც, თავის მხრივ, აწვება მას, არ იკვეთება ნათლად ირაკლი ოქრუაშვილის მიერ პირდაპირი განზრახვით მოქმედება. მეტიც, დაცვის მხარე უთითებდა იმაზე, რომ ირაკლი ოქრუაშვილის იქ ყოფნის

მოტივი იყო ვითარების განეიტრალება. სასამართლომ კი არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და აღნიშნა, რომ დაპირისპირების განმუხტვის მცდელობას ირაკლი ოქრუაშვილის მხრიდან ადგილი არ ჰქონია მაშინ, როცა საქმეში არ დევს მთლიანი პროცესის ამსახველი უწყვეტი კადრები, რომლებიც ირაკლი ოქრუაშვილის მიერ განხორციელებულ თითოეულ ქმედებას ნათლად წარმოგვიდგენდა. განაჩენის ეს ნაწილიც მტკიცების ტვირთს მსჯავრდებულს აკისრებს, რაც არღვევს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს.

3. პოლიტიკური სარჩული და შერჩევითი მართლმსაჯულება

ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებას წინ უძღოდა 17 ივლისს მისი დაცვის წევრისა და ახლობელი ადამიანის კობა კოშაძის დაკავება, რომელსაც სახელმწიფო იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას ედავებოდა[16]. ამას მოჰყვა 19 ივლისს ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ტელეკომპანია რუსთავი 2-თან დაკავშირებით სამართლებრივი დავის წამოწყება. მან სასამართლოს არხის წილების დაყადაღების თხოვნით მიმართა[17]. 25 ივლისს კი იგი დააკავეს.

აღნიშნულს მალევე მოჰყვა პოლიტიკური შეფასებები. სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის მიერ ირაკლი ოქრუაშვილის დაკავება პოლიტიკურ გადაწყვეტილებად შეფასდა. აღსანიშნავია, რომ 14 აპრილს განცხადება გააკეთა საქართველოში ამერიკის საელჩომაც, რომელმაც აღნიშნალ: „ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრების დრომ და გარემოებამ გამოიწვია შეშფოთება პოლიტიკურ ჩარევასა და შერჩევითი სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით.“[18]

შერჩევით მართლმსაჯულების ეჭვს აჩენს, მათ შორის, ის გარემოება, რომ 20 ივნისის მოვლენებზე ბრალდება კიდევ 18 პირს წარედგინა. ყველა მათგანი იმყოფებოდა დაძაბულობის წინა ხაზზე და აქტიური შეხება ჰქონდა პოლიციასთან. გარდა ადამიანთა მცირე ჯგუფისა, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ ასობით ადამიანი იმყოფებოდა. ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილისგან, როგორც მინიმუმ ადგილი ჰქონდა პოლიციელების კორდონისკენ მიწოლას. საქართველოს პროკურატურამ ბრალდება ასობით ადამიანიდან, ვინც მოვლენების წინა ხაზზე არ იმყოფებოდა, თუმცა იდგა პარლამენტის წინ და შესაძლოა დიდი ნაწილი პოლიციის კორდონსაც აწვებოდა, მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილი გამოარჩია.

დასკვნა

მიუხედავად სასამართლოს მიერ განაჩენში გაკეთებული არაერთი სწორი და სამართლიანი განმარტებისა, განსაკუთრებით სსკ 225-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით, ირაკლი ოქრუაშვილის საქმე და განაჩენი მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს.

აღსანიშნავია ირაკლი ოქრუაშვილის ბრალდებამდე განვითარებული მოვლენები, ასევე, ის, თუ როგორ და რა ვითარებაში იხილებოდა ირაკლი ოქრუაშვილის სისხლის სამართლის საქმე (Covid-19-ის ფონზე არსებული შეზღუდვების მიუხედავად საქმე დაჩქარებულ რეჟიმში წარიმართა და განაჩენი სასამართლომ 9 თვიანი წინასწარი პატიმრობის

---

[16] https://www.radiotavisupleba.ge/a/30060688.html
[17] https://bit.ly/2WG3Th4
[18] https://civil.ge/ka/archives/346665

დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოაცხადა). მნიშვნელოვანი კითხვისნიშნებია გამამტყუნებელ განაჩენში გამოყენებულ მტკიცებულებების შინაარსსა და გონივრულ ეჭვს მიღმა დანაშაულის მტკიცებასთან დაკავშირებით. პრობლემურია მოსამართლის მიერ „ძალადობის“ განმარტება საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის მიზნებისთვის, სასამართლოსეული განმარტება, ნორმის ბრალდებულის საუარესოდ განმარტების ნათელი მაგალითია. და ბოლოს, აშკარაა შერჩევითი მართლმსაჯულების ნიშნები. პროკურატურამ, ასობით იმ მანიფესტანტიდან, ვინც არ იმყოფებოდა პოლიციის კორდონთან შემხებლობაში, თუმცა იდგა იქ, აქციის სულისკვეთებას იზიარებდა და შესაძლოა მასაში პოლიციის კორდონსაც აწვებოდა, მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილი გამოარჩია და ბრალი წარუდგინა. ყველა ეს გარემოება ერთობლიობაში აჩენს აშკარა და საფუძვლიან ეჭვს ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ შერჩევითი და პოლიტიკურად მოტივირებულ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით.